

დამტკიცებულია ა(ა)იპ მოსწავლე -ახალგაზრდობის

ეროვნული სასახლის დირექტორის

2018 წლის 13.02 N .../2... ბრძანებით

### "კალმოსანთა" შეკრების დებულება

„კალმოსანთა“ შეკრებას ატარებს:

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“

შეკრების მიზანია გამოავლინოს მწერლური ალღოს მქონე, განსაკუთრებული ნიჭით მომადლებული მოზარდები. გააძლიეროს მათში სწრაფვა შემოქმედებითი ოსტატობისადმი, დაეხმაროს თემის მიგნების, ჩანაფიქრის ორიგინალურად, ხატოვნად ხორცშესხმაში, გამოუმუშავოს ტექსტის გამართვის, ფრაზის სიცხადითა და სიზუსტით გადმოცემის უნარ-ჩვევა, აზიაროს მწერლის ლაბორატორიის შემოქმედებით სივრცეს, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს გემოვნების დახვეწაში, მისცემს მათ სტიმულს შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში.

შეკრებაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ლიტერატურული ჟანრის მხატვრული ღირებულებების მქონე ნაწარმოებები:

- პოეზია: ლექსი, პოემა, ბალადა
- პროზა: მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, ესთეტიკური ღირებულების მქონე ჩანახატი.

შეკრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საჯარო, კერძო სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებისა და სასახლეების, ასევე სხვა სკოლისგარეშე აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არსებულ წრეებში გაერთიანებულ ყველა მოსწავლეს, რომლის ნაშრომშიც გამოვლინდება ავტორის განსაკუთრებული ნიჭი.

შენიშვნა: შეკრებაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ (ნაბეჭდ) გვერდს.

ავტორთა შეფასებისას გათვალისწინებული იქნება:

- თემის მიგნების ალღო
- ნაწარმოების (აზროვნების) მასშტაბურობა
- ჩანაფიქრის ორიგინალურად, ხატოვნად ხორცშესხმის უნარი
- შემოქმედებითი ძიება-კრეატიულობა
- მეტაფორული აზროვნება
- წერის ორიგინალური მანერა-სტილი

- ფრაზის სიცხადე და სიზუსტე

შეკრება ჩატარდება ლიტერატურული სალონის ფორმით. ახალბედა „კალმოსანთა“ ნაწარმოებებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური.

შენიშვნა: „კალმოსანთა“ შეკრებაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა შერჩევაზე (ჟანრის მითითებით) პასუხისმგებელია უპირველესად მოსწავლის ხელმძღვანელი პედაგოგი (ვის მიერაც არის რეკომენდირებული გამოგზავნილი ნამუშევარი), ასევე სკოლის და რაიონის საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებიც სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისთვის ადგილებზე უკვე შექმნილია, მათში დამატებით უნდა იქნეს მოზიდული ადგილობრივი შემოქმედებითი ინტელიგენცია - პოეტები, მწერლები, კრიტიკოსები.

„კალმოსანთა“ ნაშრომები გამოგზავნილი უნდა იქნეს მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზირი 6, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“

შემოქმედ მოსწავლეთა შეკრება „კალმოსანი“(ოთახი 87 III სა-რთული).

ტელეფონები: სასახლის სამორიგეო 2 99 00 94

„კალმოსანთა“შეკრება: 2 99 01 97

შეკრების ხელმძღვანელი: 555 37 59 60

შენიშვნა: გზავნილის თავფურცელზე უნდა მიეთითოს მოსწავლის გვარი, სახელი, რეგიონი, რაიონი, ქალაქი, სკოლა, კლასი, საკონტაქტო ტელეფონი.

შეკრება ჩატარდება 2018 წლის მაისში, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დასკვნითი ტურის პარალელურად.

ნაშრომები მიღება 2018 წლის 30 მარტამდე

დაჯილდოება მოხდება შეკრების დღეს, 2018 წლის მაისში